პროგრამის მიზანია აგრეთვე მსოფლიოში აფხაზეთის კულტურის, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენის ხელშეწყობა.



4.1.1 „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 03) (ამოღებულია)

4.1.2 „სალამოები“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 05)

ყველა საიუბილეო თარიღს გამოკვეთილი სახე და შესაბამისი შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია. ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა აფხაზეთის დამსახურებული ხელოვანების საიუბილეო, შემოქმედებითი და ხსოვნის სალამოები, რითაც საზოგადოება უფრო ახლოს ეცნობა მათ შემოქმედებას. პროექტის განხორციელება ხელს უწყობს ღვაწლმოსილი აფხაზეთის ხელოვანების შემოქმედების წარმოჩენას და მათ პოპულარიზაციას.

4.1.3„გ. შარვაშიძის სახელობის პრემია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 07)

კონკურსი გ. შარვაშიძის პრემიის შესახებ ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება და საშუალება ეძლევათ ხელოვანების, პუბლიცისტების, მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში მოღვაწე პირებს წარმოადგინონ აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი ნამუშევრები. პირებს, რომლებმაც პრემია მოიპოვეს, ენიჭებათ წოდება – „გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი“ და გადაეცემათ პრემიის ლაურეატის დიპლომი, პრემიის ლაურეატის მოწმობა და ფულადი ჯილდო.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტისა და ხელოვანების დარგების შემდგომი განვითარებისა და სტიმულირებისათვის.

4.1.4 „აფხაზეთის დღე“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 09) (ამოღებულია)

4.1.5 „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 10)

ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია ხელს უწყობს ქართულ-აფხაზური კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ პირებს და შემოქმედებით კოლექტივებს საშუალება ეძლევათ განახორციელონ საკონცერტო-საგასტროლო საქმიანობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ და მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში.

4.1.6 გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 06 07 11) (ამოღებულია)

4.1.7 ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი (ქვეპროგრამის კოდი 06 07 12) (ამოღებულია)

4.1.8 მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი შეხვედრების ორგანიზება (ქვეპროგრამის კოდი 06 07 13) (ამოღებულია)

4.1.9 „ქართულ-აფხაზური ფოლკლორის საბავშვო ფესტივალი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 14) (ამოღებულია)

4.1.10 „ეპოქა ქალის“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 15)

საქართველოში ბოლო ათეული წლების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა არაერთი ქალბატონი გადახვეწა უცხოეთში, რომელთა უმრავლესობა სწორედ აფხაზეთიდანაა დევნილი. დიდი ფიზიკური შრომის და არაერთი პრობლემის მიუხედავად სამშობლოს მონატრებამ მრავალი მათგანი ხელოვნების მსახურად აქცია: მწერლად, მუსიკოსად, მხატვრად... ასე გაჩნდა უცხოეთში ახალი ქართული ჟურნალები, გაზეთები, ანთოლოგიები... მათდამი ყურადღება და მათი პრობლემების გაზიარება, მომავლის გზების დასახვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამ ქალბატონებს მიეძღვნება ღონისძიება „ეპოქა ქალი“, რომელიც გაიმართება ათენში 2020 წლის 3 მარტს. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც საბერძნეთში მცხოვრები ლტოლვილი ქალბატონები, ასევე საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი ქალბატონები.

4.1.11 „ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 16) (ამოღებულია)



4.2 სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 08)

პროგრამის მიზანს წარმოადგენს აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების (ფეხბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ფარიკაობის, აღმოსავლური ორთაბრძოლების და ჭადრაკის) ხელშეწყობა და სხვა სახეობების წარმატებული სპორტსმენების ინდივიდუალური მხარდაჭერა.

მთავრობის მიზანია ხელი შეუწყოს აფხაზეთის სპორტსმენების მონაწილეობას ეროვნულ თუ საერთაშორისო ტურნირებზე, სპორტული გუნდების (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიიდან) უზრუნველყოფას შესაბამისი ინვენტარითა და ეკიპირებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას. მთავრობის მიზანია აფხაზეთის ახალგაზრდებს გაცნობიერებული ჰქონდეთ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, საკუთარი როლი საზოგადოებაში, განვითარებული ჰქონდეთ სწრაფვა, იყვნენ სასარგებლო ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის, პატივი სცენ სხვა ადამიანის პიროვნულ ღირებულებებს და ჰქონდეთ სურვილი იზრუნონ საზოგადოების სხვა წევრებზე, ჰქონდეთ მოტივაცია თავად გადაწყვიტონ მათ წინაშე არსებული ამოცანები, თავად შექმნან კონკრეტული ინიციატივები.

4.2.1 სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერა (ქვეპროგრამის კოდი 06 08 01)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო ეხმარება სპორტსმენებს ქვეყნისფარგლებს შიგნით და ასევე საზღვარგარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაში, სპორტული ინვენტარისა და ფორმების შეძენაში, სპორტსმენების რეგიონალურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის და საწვრთნო შეკრებების დროს მგზავრობის დაფინანსებაში. საქართველოში უახლოეს მომავალში დაგეგმილია საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება ამ ქვეპროგრამის დახმარებით მოხდება აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების შეჯიბრებებში მონაწილეობა (მგზავრობა), მათთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა, სპორტული პრიზების – თასების შესყიდვა, შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის საწვრთნო შენატანის გადახდა. ყველაფერი ეს ხელსშეუწყობს სპორტსმენებს სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვაში, სხვადასხვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მიღებაში, რაც იქნება მოსამზადებელი ეტაპი, რათა აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები მოხვდნენ საქართველოს ნაკრებ გუნდებში და ღირსეულად წარმოაჩინონ ქვეყნის სახელი.

4.2.2. ტურნირები და აფხაზეთის ღია პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ქვეპროგრამის კოდი 06 08 02)(ამოღებულია)

4.2.3 ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოვება (ქვეპროგრამის კოდი 06 08 04)

სპორტში მოქალაქეთა ვარჯიშისა და საქმიანობის უფლების სახელმწიფო უზრუნველყოფის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია სათანადო დახმარებისა და შეღავათების გაწევა სპორტში მოღვაწე პენსიონერების, ობლების, ხელმოკლე ოჯახებსა და ინვალიდებისათვის.

პროგრამის მიზანია აფხაზეთის ვეტერანი სპორტსმენების, დამსახურებული მწვრთნელებისა და სპორტის მუშაკების სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვების ღონისძიების მოწყობა.

4.2.4 აფხაზეთის სპორტის შესახებ წიგნის ბეჭდვა (ქვეპროგრამის კოდი 06 08 05) (ამოღებულია)

4.3. კულტურული ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 10)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აცნობიერებს აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის



მრავალფეროვნებას, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა შექმნაში. ვინაიდან, კულტურულ მემკვიდრეობას წვლილი შეაქვს ინდივიდუალურ და საერთო იდენტობის ფორმირებაში, ხელს უწყობს სოციალურ და ტერიტორიულ ერთიანობას და აქვს ეკონომიკური ღირებულება. შესაბამისად აუცილებელია შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის. როგორც ვიცით, აფხაზეთის მატერიალურ – კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად კარგავს თავის ავთენტურობასა და უნიკალურობას, მასზედ განხორციელებული ვანდალური აქტების შედეგად. საფრთხის წინაშეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განსაკუთრებით აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობაზე და დევნილ ახალგაზრდებზე ახდენს უარყოფით გავლენას.

აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია ყურადღება მიაპყროს და რეაგირება მოახდინოს აფხაზეთის კულტურის ფასეულობათა დაცვის და პოპულარიზაციის საკითხებზე. გამოიჩინოს სიფხიზლე და არ დაუშვას საქართველოში-აფხაზეთის კულტურული ფასეულობების მიმართ ნიჰილიზმის დანერგვა. კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ ფასეულობათა დაცვისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემის საქმიანობაში. გააცნობიეროს კულტურის განსაკუთრებული როლი სოციალური თანხმობის, ეკონომიკური ზრდის, განათლებისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისათვის და ამ მიზნების განსახორციელებლად უზრუნველყოს ფართო საზოგადოებისა და პროფესიული წრეების ჩართულობა.

4.3.1 სამეცნიერო კონფერენცია (ქვეპროგრამის კოდი 06 10 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდება კონფერენციის დებულება, მონაწილეობის მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტა დასამტკიცებლად წარედგინება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრს, რის შემდეგაც განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები/მომხსენებლები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ უახლეს შრომებს აფხაზეთის თემატიკასა და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ამ კუთხით, ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ამ მიმართულებით მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა.

4.3.2 აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაცია საზღვარგარეთ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 04) (ამოღებულია)

4.3.3 „საველე ბანაკი (შემეცნებითი ტურები, ექსკურსიები, არქეოლოგიური ბანაკი)“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 08)(ამოღებულია)

4.3.4. ფოტოკონკურსი „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“ (06 10 09) (ამოღებულია)

4.3.5. „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების ონლაინ რუქა“ (06 10 10)

(ამოღებულია)

4.3.6 „გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 11)

ლექციების ციკლი მოიცავს საქართველოს ისტორიას აფხაზეთის ჭრილში – ანტიკური პერიოდიდან დღემდე. პროექტის მიზანია ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის – აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავება. საელქციო კურსის ფარგლებში თემები თემატურად და თანმიმდევრულად იქნება წარმოდგენილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის განხორციელების მიზნით ყოველწლიურად უზრუნველყოფს ქ. თბილისის 5 (ხუთი) საჯარო სკოლის შერჩევას. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდამჭერები არიან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები.

4.3.7. საგამომცემლო სერია: აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ქვეპროგრამის კოდი 06 10 12) (ამოღებულია)



4.3.8 კულტურული მემკვიდრეობა „ვიკიპედიაში“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 13)

საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს ნორჩ ისტორიკოსებთან ერთად, სადაც ჩართული არიან აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოძიებულ იქნა ინფორმაცია აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ნაგებობებზე, რომელიც განთავსდა მსოფლიო ენციკლოპედია „ვიკიპედიაში“.

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემოღწეული 177 ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობისა და მათი ნაშთების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს მსოფლიო ენციკლოპედია „ვიკიპედიაში“.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მასალა ვიკიპედიაში ითარგმნა სომხურ ენაზე. მსგავსი ტიპის თარგმანი სხვადასხვა ენებზე ხელს შეუწყობს მსოფლიო დონეზე აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურულ ნაგებობებზე ზუსტი ინფორმაციის არსებობას.

4.3.9 ექსკურსიები დევნილი ახალგაზრდებისთვის (ქვეპროგრამის კოდი 06 10 14) (ამოღებულია)

4.3.10 ბუკლეტი „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 15)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს განაახლოს „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“ ბუკლეტი, რომელიც 2015 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა. აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილი იქნა უახლესი ფოტომასალით და ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერით. მიმდინარე წელს ვგეგმავთ ამ ბუკლეტის შევსებას – დაახლოებით 10 ნაგებობის დამატებას მათი ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერით.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხელახლა გამოიცეს „კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“ ალბომი, რომელშიც დამატებით შევა ის მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც პირველ ეტაპზე კატალოგში არ იყო მოქცეული. ამასთანავე კატალოგში პირველ გამოცემაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი იქნება ახალი ფოტომასალით.

4.4. „ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია“ (06 26 02) (ამოღებულია)

5. სოფლის მეურნეობა

5.1 მცენარეთა დაცვითი და ინვაზიურ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამები (პროგრამის კოდი 12 02) (ამოღებულია)

5.1.1 „ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებები“ (12 02 01) (ამოღებულია)

5.1.2 „მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობა“ (12 02 02) (ამოღებულია)

5.1.3 აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები - (პროგრამული კოდი 12 02 03) (ამოღებულია)

5.1.4 მდ. ენგურის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა (12 02 04) (ამოღებულია)

5.1.5 „დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 18 07 02)

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი განსახლების საფუძველზე, რომლის ფარგლებში სახელმწიფომ და დონორმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს, რის შედეგად არაერთ რეგიონში შეიქმნა ან რეაბილიტირებულ იქნა განსახლების



კოლექტიური ცენტრები. ათასობით დევნილმა გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები. თუმცა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მასშტაბურობამ ზოგიერთ კოლექტიურ ცენტრში წარმოშვა ცალკეული პრობლემები, კერძოდ ეს ეხება ტერიტორიის კეთილმოწყობას, მწვანე საფარის შექმნას, დასვენებისა და გართობის საშუალებებს.

პროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოეწერში განთავსებულ აფხაზეთიდან დევნილთა კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები ბავშვებისათვის დასვენებისა და გართობის კუთხის მოწყობა და ტერიტორიის გამწვანება, მათ შორის ამ მიზნით წყლის მიწოდების სისტემაში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრა და გარდაბნის რაიონის სოფ.ვაზიანის დევნილთა კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები მოსახლეობის სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5.1.6 „მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ (18 07 03)

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ლურჯი მოცვის გაშენებისთვის ძალიან ხელსაყრელ გარემოს და ერთეულ ფართობზე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან შედარებით მაღალი შემოსავალი საფუძვლად დაედო ამ კულტურის გაშენებით დაინტერესებას, რის შედეგად წლიდან წლამდე იზრდება ლურჯი მოცვის ფართობები. ამავდროულად ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების გაზრდის კუთხითაც ამ მცენარის აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რაც განპირობებულია ლურჯი მოცვის მომხმარებელი დიდი ბაზრების – ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთი, ყაზახეთი, აზიის ქვეყნები – სიახლოვით.

დასავლეთ საქართველოში ათასობით დევნილს აქვს საკუთრებაში სხვადასხვა ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, ბევრი მათგანი დაინტერესებულია კენკროვანი კულტურების გაშენებით. ნაწილი ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო პროგრამებში, თუმცა ყველა ვერ ახერხებს მიიღოს დაფინანსება, ზოგ შემთხვევაში განიცდის პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას. გარდა ამისა ზოგადად სოფლად მცხოვრებ დევნილებში მწვავედ დგას დასაქმებისა და შემოსავლების მიღების პრობლემა. უმეტესობა სოციალურად დაუცველი სტატუსის მატარებელია. სწორედ ამ პრობლემათა ერთობლიობა გახდა საფუძველი ამ პროგრამის, რაც გულისხმობს დევნილთა დასაქმებას უშუალოდ პლანტაციაში, დევნილი ფერმერების ცოდნის ამაღლებას და მიღებული შემოსავლებით მათი მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას.

მიღწეულ იქნა ურთიერთობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კომპანიებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ლურჯი მოცვის ნერგების გამოყვანით და პლანტაციების გაშენებით. საბოლოო ჯამში მსოფლიოში წამყვან კომპანიასთან „FALL GREEK FARM&NURSERY“ მოლაპარაკებები ზემოთაღნიშნული აქტივობების კუთხით თანამშრომლობის შესახებ. პარალელურად მიმდინარეობს ადგილობრივ და სხვა საერთაშორისო კომპანიებთან კომუნიკაცია. თუმცა სააგენტოს არ გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობის სახით, რის გამოც სხვადასხვა კერძო პირებთან და კომპანიებთან გაიმართა მოლაპარაკებები და საბოლოო ჯამში გაფორმდა 30 ჰა მიწის ფართობის (ხობის რაიონი, სოფ. შუა ქვალონი) მრავალწლიანი იჯარის ხელშეკრულება შეღავათიანი ნულავანი განაკვეთის 2 წლიანი პერიოდით, რომლის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ნაწილი ჩაითვლება იჯარის გადასახადათ. ზემოთაღნიშნული მიწის ფართობის PH 4.0-4.5 ფარგლებშია, რაც სრულად შეესაბამება ლურჯი მოცვის გაშენების მოთხოვნებს.

პროექტის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში მაღალშემოსავლიანი კულტურის – ლურჯი მოცვის სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენების, მისი მოვლა-პატრონობისა და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად დევნილთა დასაქმება და მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანია დევნილთა მიერ მრავალწლიანი კენკროვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვისა, სანერგისა და თანამედროვე საკონსულტაციო სერვის ცენტრის ორგანიზების გზით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოების მეორე ეტაპს, რომლის ფარგლებში მოხდება ტერიტორიის მომზადება პლანტაციისა და სანერგის გასაშენებლად – შემოღობვა, სადრენეჟე სისტემის რეაბილიტაცია, ნიადაგის პირველადი მომზადება და სხვა. პროგრამის სრული განხორციელება – ხელს შეუწყობს მინიმუმ 15 აფხაზეთიდან დევნილის მუდმივ დასაქმებას და 300-მდე დასაქმდება



სეზონურად, გარდა ამისა 50-მდე დევნილი ფერმერი შეძლებს მნიშვნელოვანი შეღავათებით პლანტაციების გაშენებას და თანამედროვე აგრონომიული მომსახურების სრული პაკეტის მიღებას (ნიადაგის მომზადება, სასუქი, მცენარეთა დაცვის საშუალებები და ა.შ.). რაც მნიშვნელოვანია პროგრამის სრულად რეალიზაციის შემდგომ მოხდება მიღებული შემოსავლების რეინვესტირება აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით.

5.1.7 „კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებები ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანათლებლო სივრცის მოწყობა“ (18 07 04)

2010 წლიდან ჯერ აჭარის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელება დაიწყო დაავადებამ ბზის დამწვრობა, რომლის გამომწვევია სოკო – *Cylindrocladium buxicola*. 2014 წლიდან დაიწყო გავრცელება აფხაზეთის ტერიტორიაზე და ფართოდ მოედო დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებსაც. შედეგად კოლხური ბზის მასივები მნიშვნელოვნად დაზიანდა ან განადგურდა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო აფხაზეთში მიყენებულმა კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია – 80%-მდე ბზის ფართობი ფაქტიურად განადგურებულია.

შექმნილი მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნად ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის და ექსპერტების მხრიდან ფასდება, როგორც ეკოლოგიური კატასტროფა. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობამ, კერძოდ სოფლის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების აქტიური ჩართულობით შეიმუშავა „კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ პროექტი. შემოთაღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში ქ. თბილისის მერიის მიერ უზურფრუქტის ფორმით 10 წლის ვადით გადმოცემულ ფართობზე კოლხური ბზის სანერგეს მოწყობის პირველი ეტაპი დასრულდა (შემოთაღნიშნული სანერგის მოწყობა არის ვალდებულება განსაზღვრული ქ.თბილისის მერიის ბრძანებით №61.01171314 11.05.2017 უსასყიდლო უზურფრუქტის პირობები მუხლი 14), კოლხური ბზის სანერგის შემდგომი ფუნქციონირებისა და ზოგადად ამ პროგრამის განვითარებისათვის მიზანშეწინილია ამ ტერიტორიაზე დაიწყოს დახურულ სივრცეში – სათბურში ნერგების გამოყვანა, მისი შემდგომი რეალიზაცია, ტერიტორიის დამატებითი კეთილმოწყობა.

პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონში განთავსებულ დევნილთა საჯარო სკოლაში კოლხური ბზის ნერგების მოვლა-პატრონობის მიზნით მცირე სათბურის მოწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა.

5.1.8 „დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“ (18 07 05)

დევნილთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელი არ მიუწვდება ელემენტარულ საარსებო წყაროებზე, შედეგად საკმაოდ დიდია სოციალურ სუბსიდიებზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა. ათასობით დევნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ე.წ. მოწყვლადი ჯგუფები – შშმ პირები, პენსიონერები, ომის ვეტერანები, სოციალურად დაუცველები. განსაკუთრებით მძაფრად ეს პრობლემა გამოჩნდა კორონავირუსის გამოწვეული პანდემიის ფონზე, როცა ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქებმა დაკარგეს სამუშაო ადგილები და დარჩნენ ყოველდღიური შემოსავლის გარეშე. შექმნილ მძიმე მდგომარეობაში აუცილებელია გადაიდგეს კომპლექსური და პერმანენტული ნაბიჯები, რომელმაც უნდა შეამსუბუქოს დევნილთა მდგომარეობა და ორიენტირებული იყოს მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფაზე. ეს გულისხმობს, როგორც დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებას, ასევე ერთჯერადი დახმარების მქონე პროგრამების იმპლემენტაციას, პირველ რიგში სურსათის კუთხით. არსებული მონაცემებით მოწყვლადი სხვადასხვა ჯგუფების 9 000-მდე აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებით საჭიროებს ამ ტიპის დახმარებას და აუცილებელია დაუყოვნებელ შესაბამისი ღონისძიებების გატარება

პროგრამის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების 9 000 აფხაზეთიდან დევნილის სურსათით დახმარება

პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის უწყებებთან კოორდინაციაში გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე 9 000 აფხაზეთიდან დევნილის სია შედგა, რომელთაც გადაეცემათ ერთჯერადი სასურსათო მხარდაჭერის პაკეტი.



5.1.9 „დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“ (18 07 06)

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის მხარდაჭერა, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს, როგორც იმპორტის წილის შემცირება, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოებისა და გადამუშავების განვითარება, დასავლეთ საქართველოს შემთხვევაში ეს არის მაგ. კენკროვნები, დაფნა, თხილი და სხვა. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში გავრცელებული ეპიდემიის ფონზე, როცა სასურსათო უსაფრთხოებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ამ კუთხით პერსპექტიულია დაფნის ფოთლის წარმოება და პირველადი გადამუშავება.

ამავე დროს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებით მწვავეა რეგიონებში, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ზემოთაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ აგრობიზნესის მხარდაჭერა და მათთან აქტიური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს მათ შორის სახელმწიფო სარგებლობაში არსებული გამოუყენებელი აქტივების (უძრავი ქონება) მიმართვას ამ მიმართულებით.

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილთა დასაქმება და მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა დაფნის ფოთლის პირველადი წარმოება, წარმოება-რეალიზაციის გზით.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზეა უძრავი ქონება – 4000 კვ.მ მეტრზე მეტი მიწის ფართობი და 146 კვ.მ ამორტიზირებული შენობა (ს/კ 49.19.22.025). პროგრამა ითვალისწინებს ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციას, სადაც განთავსდება დაფნის ფოთლის პირველადი გადამუშავების საამქრო. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული სამუშაოების დაფინანსებას, ხოლო პარტნიორი – რკ „ლავრ-ჯორჯია“ აღჭურვას მას შესაბამისი დანადგარებით.

5.1.10 „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“ (18 07 07)

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა, თუმცა პრობლემის მასშტაბურობა მოითხოვს ყველაზე დონეზე – ცენტრალური ხელისუფლება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები უფრო მეტ ძალისხმევას და კონკრეტულ, ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს. განსაკუთრებით ეს საკითხი მწვავეა რეგიონებში, მათ შორის ენგურის პირას მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში. სწორედ ამ რეგიონში თუნდაც მცირედი შემოსავლებით დევნილთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა გააუმჯობესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ამავე დროს არსებული ფინანსური რესურსის სიმწირე კი მოითხოვს, ისეთი აქტივობების განხორციელებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც დროის მოკლე პერიოდში მოგვცემს კონკრეტულ შედეგს და იქნება ორიენტირებული თვითდასაქმებაზე.

პროექტის მიზანია აფხაზეთიდან დევნილთა დასაქმება და მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა დაფნის ნერგებისა და ფოთლის წარმოება-რეალიზაციის გზით.

მიზნიდან გამომდინარე პროექტს აქვს 2 ძირითადი ამოცანა:

- ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე (ს/კ 49.19.22.025) დაფნის სანერგის მოწყობა, ნერგების გამოყვანა და მათი ნაწილის რეალიზაცია.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 43.09.02.399) ერთ კონტურზე – 8 ჰა დაფნის ფოთლის პლანტაციის გაშენება, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ხობში გამოყვანილი 80 000 ათასი ნერგი და დაფნის ფოთლის წარმოება-რეალიზაცია.



5.1.11 „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“ (18 07 08)

ქვეყნის აგრარულ სექტორში, რომელიც გამოირჩევა მზარდი დინამიკით, განსაკუთრებით მემცენარეობის კუთხით, დევნილთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა უზრუნველყოფს მათ საარსებო წყაროებით და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. ამავე დროს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების გაზრდაზე და იმპორტის შემცირებაზე, რაც კიდევ უფრო აქტუალურია კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში. სამწუხაროდ მსგავსი გამოწვევები მსოფლიოში მხოლოდ მოიმატებს და ამ კუთხით მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით სურსათის კუთხით, სტიმულირება და მხარდაჭერა. სააგენტომ 2017 წელს ამერიკის განვითარების სააგენტოს პროექტ „ზრდასთან“ თანამშრომლობით ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებში შეარჩია 14 ბენეფიციარი, რომელთაც იჯარით გადაეცა მეორადი სასათბურე კონსტრუქციები, სულ – 6000 კვ.მ. განვლილ პერიოდში მხოლოდ ნაწილმა შესძლო წარმოების გამართვა და წარმატებული მაგალითების შექმნა. ნაწილს კი სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო – ცოდნის ნაკლებობა, მოთხოვნადი პროდუქციის სახეობებისა და მათი წარმოების ვადების სწორად შერჩევა, სტიქიური უბედურების (ძლიერი ქარი) გამო სათბურების დაზიანება და სხვა – გაუჭირდა დახურულ გრუნტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. შექმნილ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია მათი ეფექტური დახმარების ორგანიზება, რაც გულისხმობს სათბურების რეაბილიტაციას და ტექნიკურ გამართვას, კვალიფიციური აგრონომიური მომსახურების უზრუნველყოფას და რეალიზაციაში მხარდაჭერას. ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფას, ასევე ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაზრდას.

პროექტის მიზანია ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში 7 აფხაზეთიდან დევნილის მიერ მოწყობილი მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაციის შედეგად მათი შემოსავლების მუდმივი წყაროებით უზრუნველყოფა.

5.1.12 „აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“ (18 07 09)

დევნილთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელი არ მიუწვდება ელემენტარულ საარსებო წყაროებზე, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით დგას რეგიონებში. პრობლემის სიმწვავე მოითხოვს სწრაფ და ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, რომელიც მოგვცემს საშუალებას დროის მოკლე პერიოდში უზრუნველყოთ სამიზნე ჯგუფები შემოსავლებით. ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გამძაფრებული ეკონომიკური პრობლემების ფონზე, როც მცირდება სამუშაო ადგილები და ჩვენს თანამოქალაქეებს მკვეთრად შეუმცირდათ საარსებო წყაროები.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსის მიმართვა ერთწლიანი კულტურის (სიმინდი) წარმოებაზე, რათა მოკლევადიან პერიოდში მივიღოთ გარკვეული შედეგი და გავლენა მოვახდინოთ თუნდაც რამდენიმე ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობაზე.

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 43.09.02.399) ერთ კონტურზე – 8 ჰა სიმინდის მოყვანა-რეალიზაციის შედეგად აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

პროექტის სამიზნე ჯგუფი იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ მიმდებარე სოფლებში და მცხოვრები 7 აფხაზეთიდან დევნილი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სიმინდის მოვალ-პატრონობაში.

5.1.13 „აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“ (18 07 10)

დევნილთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელი არ მიუწვდება ელემენტარულ საარსებო წყაროებზე, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით დგას რეგიონებში. პრობლემის სიმწვავე მოითხოვს სწრაფ და ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულ აქტივობებს, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, რომელიც



მოგვცემს საშუალებას დროის მოკლე პერიოდში უზრუნველყოთ სამიზნე ჯგუფები შემოსავლებით. ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გამძაფრებული ეკონომიკური პრობლემების ფონზე, როც მცირდება სამუშაო ადგილები და ჩვენს თანამოქალაქეებს მკვეთრად შეუმცირდათ საარსებო წყაროები.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსის (სახელმწიფოს სარგებლოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები) მიმართვა ერთწლიანი კულტურის (სიმინდი) წარმოებაზე, რათა მოკლევადიან პერიოდში მივიღოთ გარკვეული შედეგი და გავლენა მოვახდინოთ თუნდაც რამდენიმე ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობაზე

პროგრამის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის სოფ.ზემო ქვალონში 10 ჰა-ზე სიმინდის მოყვანა-რეალიზაციის შედეგად აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

5.2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის პროგრამები (18 09)

5.2.1 საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების პროგრამა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (18 09 01)

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მათ შორის მეცხოველეობის მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია ვეტერინარული მომსახურების გარეშე.

გამომდინარე იქედან, რომ ბოლო წლებში ტყის მასივში საგრძნობლად მომრავლდა მტაცებელი ცხოველები და მღრღნელები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ საშიშ დაავადებების გავრცელების კერებს, როგორცაა ჯილეხი, თურქული, ნოდულარული დერმატიტი და ცოფი. ბოლო წლების განმავლობაში მიუხედავად ჩატარებული იმუნიზაციისა ადგილი ჰქონდა, როგორც გარეული ცხოველების, ასევე შინაური ცხოველების დაკბენით ადამიანების ცოფით დაინფიცირების შემთხვევებს, საიდანაც 3 შემთხვევაში დადგა ლეტალური შედეგი. შექმნილმა მდგომარეობამ წარმოშვა გადაუდებელი აუცილებლობა შინაური ცხოველების სრულ სულადობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით აფხაზეთის რეგიონალური სამმართველოს ვეტსპეციალისტებთან ერთად იძულებითი იმუნიზაციის ჩატარება გახდა საჭირო მიმდინარე წლის ივნის-ივლისის თვეებში.

საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს აფხაზეთის რეგიონალური სამმართველოს ვეტსპეციალისტებთან ერთად სამემოდგომო იმუნიზაცია დაწყებულია და მიმდინარეობს ვეტსპეციალისტების სრული მობილიზაციით.

პროგრამის განხორციელების ეფექტურობის ამაღლების მიზნით ვეტერინარ ექიმებს ჩაუტარდებათ გეგმიური და საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიური ტრენინგები საშიშ ინფექციურ დაავადებათა მიმდინარეობისა და მკურნალობის შესახებ: აცრილ და მკურნალობა ჩატარებულ ცხოველიდან მიღებული რძის პროდუქტებისა და ხორცის საკვებად ვარგისიანობისათვის დაყოვნების პერიოდზე, უსაფრთხოების წესების დაცვაზე, ლეშების ლიკვიდაცია და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაზე.

5.2.2 „მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“ (18 09 02) (ამოღებულია)

5.2.3 მდ. ენგურის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა“ (18 09 03)

ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მდებარე ადმინისტრაციული რაიონებში – გალი, ზუგდიდი, წალენჯიხა – მოსახლეობა მეტწილად დასაქმებულია აგრარულ სექტორში და შესაბამისად მათ შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. პოსტსაბჭოთა პერიოდში ბაზარზე არსებულმა მოთხოვნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა მრავალწლიანი კულტურების გაშენების კუთხით, კერძოდ ჩაი და ნაწილობრივ ციტრუსი ჩაანაცვლა



თხილმა. ამ კულტურის მიერ დაკავებული ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მხოლოდ გალის რაიონში დაახლოებით 18 000 ჰა-ზეა გაშენებული თხილი. ერთის მხრივ, თხილის ფართობების მასშტაბური ზრდა და მეორეს მხრივ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე აგროსერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდობა მიზეზი გახდა კომპლექსური პრობლემების. ხშირ შემთხვევაში ნიადაგის შესწავლისა და მინიმალური აგროტექნიკური ღონისძიებების გარეშე ხდებოდა თხილის გაშენება, ცალკე პრობლემა იყო ხარისხიანი სანერგე მასალა. ზემოთაღნიშნულმა ფაქტორებმა თხილის კულტურიდან მიღებული შემოსავლები მინიმუმამდე დაიყვანა – დაეცა მოსავლიანობა და მათ შორის, მავნებელ-დაავადებების გავრცელების შედეგად პროდუქციის ხარისხი.

პროგრამის მიზანია გალის ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა და სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ დევნილების შემოსავლების ზრდა და შესაბამისად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება თხილის მაღალშემოსავლიანი ნერგების პოპულარიზაციისა და ფერმერთა პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესების გზით.

5.3 „დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“ (12 05) (ამოღებულია)

6. ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა(პროგრამების ადმინისტრირება და მართვა)

6.1 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 01 00)

კანონშემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. აუცილებელი ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელისუფლებო სტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, აფხაზეთის მომავლის პოლიტიკური სტატუსისა და კონსტიტუციური საფუძვლების შემუშავებას. მჭიდრო საქმიანი კავშირების დამყარება ქვეყნის საკანონმდებლო და ცენტრალურ აღმასრულებელ სტრუქტურებთან. საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისათვის სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღრიცხვა, ამ უფლებების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების და აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება. შერიგებისა და ნდობის აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაში აქტიური მონაწილეობა. გამომდინარე იქიდან, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება ქართველთა ეთნიკური წმენდა, იკრძალება სწავლა ქართულ ენაზე, ნადგურდება ქართული ისტორიული და კულტურული ძეგლები, გასააქტიურებელია მუშაობა საერთაშორისო კომპეტენტურ ორგანოებთან (გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი...) რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ანექსიის მამხილებელი მასალების მოძიება, ობიექტური სინამდვილის გასაჯაროება, სისტემური კონტაქტების უზრუნველყოფა და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მეგობარი და წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელებისათვის, მათ პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში, სამოქალაქო სექტორში მხარდამჭერთა მოძიება და მათი დახმარებით სეპარატისტული რეჟიმის არაღიარების პოლიტიკის გააქტიურება. დეოკუპაციის თემის საერთაშორისო პოლიტიკური პროპაგანდის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

6.2 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება და დევნილი საზოგადოების ინტელექტუალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური რესურსების მობილიზება;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების აქტიური ჩართულობა კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ დარეგულირებაში;

აფხაზეთში შექმნილ ვითარებასა და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო



საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;

საერთაშორისო თანამეგობრობის, პოლიტიკური და სამეცნიერო-აკადემიური წრეებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საერთაშორისო კონფერენციებისა და მედიაფორუმების ორგანიზება, სამუშაო პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ექსპერტების ფართო სპექტრის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ იმპლემენტაციის პროცესში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა დევნილთა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

6.2.1 აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ -სამეურნეო სამმართველო (პროგრამული კოდი 02 02) (ლიკვიდრებულია)

6.2.2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო“ (პროგრამული კოდი 02 04)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის მართვის, საქმის წარმოების სრულყოფისა და საარქივო ფონდის განვითარების მიზნით:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალური სახით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება;

- აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა (მათ შორის აფხაზეთის საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფა, კოორდინაცია, ნორმატიული და მეთოდური უზრუნველყოფა;

- აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე პერსპექტიულ-მიზნობრივი პროგრამებისა და მიმდინარე გეგმების შემუშავება.

6.3 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (პროგრამული კოდი 05 01)

- დევნილი მოსახლეობის სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების რეჟიმში გადამზადების პროგრამებსა და სხვადასხვა სამედიცინო ტრენინგებში ჩართვის ხელშეწყობა;

- ქვეყანაში აღიარებული პრიორიტეტული მიმართულებებით პროგრამების შემუშავება და შესაბამისად, დევნილი მოსახლეობისათვის პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- სამედიცინო დაწესებულებათა მოქმედ ფედერალურ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

- დევნილი მოსახლეობის სამედიცინო აქტივობის (სამედიცინო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ) დაწესებულებებში მიმართვები) ამაღლება;



- მოსახლეობაში სამედიცინო (სანიტარიულ-ჰიგიენური) განათლების გავრცელების ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;
- ინტენსიური თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დევნილთა სამედიცინო და სოციალური დახმარების ასპექტში;
- დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა მათი უფლებებისა (ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) და მოქმედი სამედიცინო და სოციალური დახმარების შესახებ.

6.4 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (პროგრამული კოდი 06 01)

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ზოგადი განათლების სფეროში და სამშვიდობო განათლების პოლიტიკის განხორციელება აფხაზეთის საჯარო სკოლებში და დევნილ ახალგაზრდებში, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელშეწყობა ეროვნული შეფასებების განხორციელებაში. ოკუპირებული ტერიტორიის პედაგოგებისათვის საგნობრივი ტრენინგების პროგრამების განხორციელება, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სამშვიდობო განათლების, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლების და მთელი ცხოვრების განმავლობაში საბაზო კომპეტენციების დაუფლების პროგრამების განხორციელებაზე ხელშეწყობა;

ინოვაციური პროგრამების განხორციელებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივ ასოციაციებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;

პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, კინო, ქორეოგრაფია) განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პროფესიონალ შემოქმედთა, ინდივიდუალურ შემსრულებელთა და შემოქმედებითი კოლექტივების (საგასტროლო და საკონცერტო, საკონკურსო და საფესტივალო, საგამოფენო და ა.შ.) მოღვაწეობა, ხელშეწყობა და მოღვაწეობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

კულტურულ-გასართობი და შემეცნებითი პროექტების განხორციელება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური ჩართულობისა და ინტეგრაციის მიზნით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა. დევნილ ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამღვლეების მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა;

ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისა და ამ მიზნით პროგრამების, წინადადებების, გეგმების შემუშავება, ხალხური ხელოვნების დანერგვის (ქორეოგრაფია, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება, ზეპირსიტყვიანობა, ხალხური რეწვა, ფოლკლორი) დაცვა-განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ამ მიზნით სპეციალური გამოცემების, ვებ-გვერდების, ფილმების მომზადება;

შესაძლებლობების ფარგლებში აფხაზეთში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება;

სამშვიდობო განათლებისა და კულტურის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ორგანიზება-კოორდინაციაზე ზრუნვა;



სამინისტროს მართვის სფეროში ინფორმაციული სისტემების დანერგვის ხელშეწყობი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ბავშვთა და ახალგაზრდების საქმეთა სფეროში სამთავრობო პოლიტიკის

განხორციელების კოორდინაცია;

სამინისტროს საინფორმაციო საჭიროებებიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზის დადგენა.

6.4.1 ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02)

6.4.2 გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (პროგრამული კოდი 06 03)

რესურს-ცენტრების მიზანია განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურს-ცენტრი ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევასა და ზედამხედველობას;

კონტროლს უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, პროფესიულ და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში;

წარუდგენს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს რეკომენდაციებს და წინადადებებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, აგრეთვე საჯარო სკოლების, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების დაფუძნების შესახებ;

ხელს უწყობს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენების – ქართულისა და აფხაზურის – განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას სამოქმედო ტერიტორიაზე;

ახორციელებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემთა შეგროვებას და დამუშავებას;

ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

6.5 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 10 01) (ლიკვიდაცია 2019 წლის 1 ნოემბრიდან)

6.5.1 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო (პროგრამული კოდი 10 02 გადავიდა 02 04 პროგრამულ კოდზე)

6.6 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო (პროგრამული კოდები 11 01, 13 01, 14 01, 15 01 ლიკვიდაცია, აუთვისებელი თანხები გადავიდა დევნილთა სამინისტროს განკარგვაში)



-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, შეფასება და მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების გაწევა მიზნად ისახავს დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მათი ფსიქოლოგიური ფონის გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების დონის განვითარება – ამაღლებას.

კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში განსახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების მონიტორინგი;

დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე შესწავლა, ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი და ზემდგომი ორგანოებისთვის მიწოდება;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიების საქმიანობის კოორდინაცია;

აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების სამხედრო-სავალდებულო და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში აღრიცხვა-გაწვევის ორგანიზაციების მოქცევა კანონმდებლობის ჩარჩოში.

6.7 აფხაზეთის ავტონომიური სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 12 01) (ამოღებულია)

6.8 სსიპ – „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო“ (პროგრამული კოდი 12 03 ამოღებულია)

6.9 აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო (პროგრამული კოდი 18 01)

- საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა და გამჭვირვალობა;
- საბიუჯეტო დაწესებულებებში საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრება;
- აღებული ვალდებულებების სრულყოფილად დაფინანსება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა შემოსავლების დამატებითი წყაროების მოძიების მიზნით, რათა ბიუჯეტში გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;
- ხაზინის მეშვეობით აფხაზეთის ბიუჯეტიდან სახსრების გაცემა, შემოსავლებისა და ხარჯების ოპერატიული კონტროლის დაწესება კანონმდებლობის შესაბამისად;
- დაწესებულებათა საფინანსო სამსახურებისათვის შესაბამისი მეთოდური მითითებებისა და ლიტერატურის მიწოდება, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება;
- მხარჯავი დაწესებულებების მიერ შესყიდვების განხორციელებისას კონტროლის დაწესება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

სტატისტიკური ანგარიშების მიღება – დამუშავება, სტატისტიკური ბიულეტენებისა და კრებულების გამოშვება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ ყოველკვარტალური და წლიური ანალიტიკური ბარათების მომზადება დარგთა ჭრილში;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ქონებისა (უძრავ-მოძრავი) და წილების – აქციების მართვა, განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;



საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობის გაღრმავება იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

6.9.1 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 18 02)

